ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 59

2018 წ. „20“ 08

ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლას (ს/კ 204571588) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №11 სხდომის ოქმის მესამე და ამავე საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს № 12 სხდომის ოქმის მეათე ნაწილები ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 30 ივლისიდან.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №44 გადაწყვეტილება.
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
მანანა რატიანი

მდივანი
თამილა ჩუბინიძე